ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

**დადგენილება №13**
**2022 წლის 28 ივლისი**

**დაბა სტეფანწმინდა**

**„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 აპრილის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ბ“ ქვეპუნქტის, 61- მუხლის მეორე პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე- 20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

**მუხლი 1**
„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 აპრილის N19 დადგენილებაში(www. matsne.gov.ge.07/05/2018, სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.151.016247)შეტანილი იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:
1.დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-11 მუხლის მერვე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**8**. არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია: გარე რეკლამის განთავსების, საზოგადოებრივი ადგილებით სარგებლობის შეზღუდვის წესების, გარე ვაჭრობის, ავტოტრანსპორტის, პარკირების წესების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ფასადების, გზის საფარის, გარე განათების, გამწვანებული ტერიტორიების, ვიტრინების, კომუნიკაციების, ჯიხურებისა და სხვა ელემენტების ტექნიკურ-ესთეტიკურ მდგომარეობაზე კონტროლი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ინსპექტირების განხორციელება, დამრღვევი ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს კანონით „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“ დადგენილი ზომების მიღებას, განსაზღვრავს დარღვევის აღმოფხვრის ღონისძიებებსა და ვადებს, მოახდინოს მშენებლობა დამთვრებული შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარება (ექსპლოატაციაში მიღება);

2. დადგენილებით დამტკიცებულ დებულებას დაემატოს თავი VIII და 39-ე მუხლი შემდეგი რედაქციით:

**თავი VIII**

**ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებისას**

**მუხლი 39. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავება**

**1.** მერია უფლებამოსილია ერთიანი საქმისწარმოების, მათ შორის: სოციალური

დახმარების, ჯანმრთელობის დაცვის, სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის, სატრანსპორტო

პოლიტიკის განხორციელების, ადამიანური რესურსების მართვის, მუნიციპალიტეტის

ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეთა დაშვების და სხვა მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიიღოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემები.

**2.** ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალურ მონაცემებში იგულისხმება:

ა) სახელი;

ბ) გვარი;

გ) პირადი ნომერი;

დ) დაბადების თარიღი;

ე) სქესი;

ვ) მოქალაქეობა;

ზ) ინფორმაცია საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძვლის შესახებ;

თ) ფოტოსურათი;

ი) ინფორმაცია პირის მისამართზე რეგისტრაციის შესახებ.

3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად.

**4**. ამ მუხლის მიზნებისათვის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია ასევე მოიცავს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს.

**მუხლი 2**

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე** **დავითი ქირიკაშვილი**